პროექტი

საქართველოს კანონი

"პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები 1993 N9, მუხ. 187.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და კანონის 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" მუხლი 39. საფინანსო კონტროლი

სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შემოწმებას და გარე აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი